



აჭარის

ავტონომიური

რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

რეგლამენტი

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე**

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში (გაზეთი „აჭარა“, №57, 31. 03. 2005 წელი) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-80 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენილ კანონპროექტს უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი წარუდგენს უმაღლესი საბჭოს ბიუროს უახლოეს სხდომას, თუ იგი დეპარტამენტში წარდგენილია ბიუროს დაწყებამდე არა უგვიანეს 48 საათისა. ამ ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი კანონპროექტი გადაეცემა ბიუროს მომდევნო სხდომას. ებიურო უახლოეს სხდომაზე იღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ.“.

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

მიხეილ მახარაძე

ბათუმი,
2006 წლის -----
№-----